ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 1968

ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 49-Ე ᲬᲚᲘ ● № 278 (14274)

ᲖᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲮᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲢᲠᲣᲡᲔᲑᲛᲐ ᲒᲣᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 800 ტონის ნაცვლად უკვე 1.000 ტონა მანდარინი მოკრიფეს. მეურნეობის მუშაკებმა წელს ციტრუსების უხვი მოსავალი მიიღეს და გადაწყვიტეს წლის ბოლომდე კიდევ 600–700 ტონა ნარინჯისფერი ნაყოფი მოკრიფონ. სურათზე: გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მეციტრუსეები ლიზა და ნელი სიცარიძეები.

ფოტო **ბ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲕᲘᲡᲐ** (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲓᲘᲓᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

- ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲒᲐᲕᲔᲜ 100 ᲐᲗᲐᲡ ᲪᲔᲡ, ᲒᲐᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ 400 ᲰᲔᲥᲢᲐᲠ ᲥᲐᲠᲡᲐᲪᲐᲕ ᲖᲝᲚᲡ
- ᲪᲐᲨᲣᲠᲨᲘ ᲪᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲒᲐᲕᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲪᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲔᲜ

ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲒᲕᲐᲜᲔ ᲖᲝᲚᲔᲑᲘ

Ա. ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ წლებში რაიონის კოლმეურნეობები ეკონომიურად განმტკიცდნენ, გაიზარდა არტელის წევრთა შემოსავალი. ფართოდ გაჩაღდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, გაფართოვდა სოფლების კეთილმოწყობის სამუშაოები. მაგრამ ეზოები და გზის პირები დამშვენებული არ იყო მწვანე ნარგავებით.

ახლა ამ მიმართულებით თითქმის ყველა სოფელში დიდი მუშაობაა გაჩაღებული. **მიმდინარე წლის ბოლომდე გზის პირებზე და ეზოებში 100 ათას ძირზე მეტი მარადმწვანე ფოთლოვანი ხე და ხეხილი უნდა დაირგოს. დღეისათვის უკვე დარგულია 47 ათას ძირზე მეტი.**

სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფელ ზემო მაჩხაანში გაშენდა დიდი ტყე-პარკი, რომლის ფართობი 25 ჰექტარს აღემატება. ახლა მიმდინარეობს ხეების დარგვა, მისი კეთილმოწყობა. ასეთივე პარკები გააშენეს ჯაფარიძეში, არხილოსკალოში, არბოშიკში და სხვა სოფლებში.

ქარსაცავი ზოლი უხვი მოსავლის საწინდარია. დღეისათვის უკვე გაშენებულია რამდენიმე ათეული ჰექტარი. წლის ბოლომდე გავაშენებთ ქარსაცავ ზოლებს 400 ჰექტარამდე. საამისოდ მიწა უკვე დამუშავებულია. ამ საქმეში კარგად მუშაობენ ჯაფარიძის, ზემოქედის, არხილოსკალოს, გამარჯვების, წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

ᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲕᲐ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲨᲠᲣᲜᲐᲕᲘ

Დ. ᲛᲐᲚᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

რაიონის მთებსა და ველებზე, გზებსა თუ პარკ-ხეივნებში გამრავლდნენ მწვანე სამოსლის მეგობრები. ხცის-წრომის გზაზე — ექვს კილომეტრზე გაშენებულ ქარსაცავ ზოლებში ჭადრები და სხვა მცენარეები შრიალებენ. გაზაფხულზე და ამ შემოდგომაზე გაშენდა 61 ჰექტარი საკოლმეურნეო მინდვრების ტყესაცავი ზოლები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის გამოუყენებელი, ეროზირებული ფართობების გატყევება ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დავალებული აქვს ხაშურის რაიონის სატყეო მეურნეობას (დირექტორი ᲐᲚ. ᲑᲝᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ), და ამ კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დავალებს წარმატებით ასრულებს. ამჟამად საკოლმეურნეო მინდვრების ტყესაცავი ზოლების გაშენება და გზების გამწვანება მიმდინარეობს ალისა და ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობებში.

ახლად გაშენებულ სტალინის სახელობის პარკში ხეების დასარგავად ახლა ყოველ ხელსაყრელ დღეს იყენებენ. გადაწყვეტილია გაშენდეს 20 ჰექტარი მინდვრის ტყესაცავი ზოლები.

სატყეო მეურნეობამ ამ შემოდგომაზე გამოიყვანა 3,5 მილიონი ძირი წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშის მცენარე. აქედან 2,5 მილიონი ძირი შაგი ფიჭვია.

ხეების საშემოდგომო რგვასთან ერთად ახლა მუშაობა მიმდინარეობს ნიადაგის მოსამზადებლად. გაზაფხულზე დაირგვება მილიონობით ძირი მცენარე.

საშემოდგომოდ ხეების დარგვა ამჟამად ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია.

ᲤᲘᲤᲕᲜᲐᲠᲘ ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ. ᲤᲝᲢᲝ **Შ. ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.**

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ი. ᲪᲔᲓᲔᲜᲑᲐᲚᲡ

27 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲛᲑ. Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ᲐᲛᲑ. Ი. ᲪᲔᲓᲔᲜᲑᲐᲚᲡ, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲡᲐ და Ი. ᲪᲔᲓᲔᲜᲑᲐᲚᲡ შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ძმური ურთიერთობისა და საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები. (საკდესი).

• ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ •

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ XIX ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲐᲓᲐ. მსოფლიო სპორტის მიღწევათა გრანდიოზულ დათვალიერებაში მონაწილეობდნენ დედამიწის ყველა კონტინენტის ასზე მეტი ქვეყნის სპორტსმენები.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ოლიმპიური გუნდების შემადგენლობაში საქართველოდან იყო 15 სპორტსმენი, და ყველამ, გარდა მოჭიდავე ტარიელ ალიბეგაშვილისა, რომელიც თავის წონითს კატეგორიაში სათადარიგო იყო, მონაწილეობა მიიღო ოლიმპიური ჯილდოებისათვის ბრძოლაში. აცტეკების ძველ მიწაწყალზე მათი გამოსვლების შედეგები კარგად იციან სპორტის მოყვარულებმა: საქართველოს წარგზავნილთა მიერ წინა ასპარეზობებზე მოპოვებული ოლიმპიური მედლების რიცხვს შეემატა ექვსი მედალი. ამ ექვსი მედლიდან ორი ოქროსია, ორი — ვერცხლისა და ორი — ბრინჯაოსი. ჩვენმა სპორტსმენებმა საბჭოთა გუნდს შესძინეს 82.7 ქულა და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში გაუსწრეს ისეთ ქვეყნებს, როგორიც არიან ირანი, ავსტრია, ბრაზილია, ხაბერძნეთი და მრავალი სხვა.

მეხიკოს XIX ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეები და მათი მწვრთნელები მიიწვიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც ისინი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა Შ. Პ. ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ. იგი გულთბილად მიესალმა ოლიმპიადის ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს მძლეოსან ვიქტორ სანეევს, ოლიმპიადის ჩემპიონს მოჭიდავე რომან რურუას, ოლიმპიური ასპარეზობის მეორე პრიზიორს შოთა ლომაძეს, ოლიმპიადის მეორე პრიზიორს შტანგისტ დიმიტრი შანიძეს, ველოსიპედისტ ომარ ფხაკაძეს, მოჭიდავე ზარიბეგ ბერიაშვილს, მსროლელ შოთა ქველიაშვილს, მცურავ თინა ლეკვეიშვილს, მძლეოსნებს იგორ დელა-როსას, ლიუდმილა იეფლევასა და გურამ გუდაშვილს, აგრეთვე მათს მწვრთნელებს აკოფ კერესელიანს, ილია ჩხარტიშვილს, მამია ღლენტს, ვასილ ილურიძეს, ავთანდილ გუნიას, გიორგი როსტაფშვილს, გიორგი ბექმაშევს, მარგარტა ტატიშვილს, ალექსანდრე შჩერბინას, ელენე გოკიელსა და ბორის დიაჩკოვს.

ამხანაგმა Შ. Პ. ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილეებს მიულოცა დიდი წარმატება და აღნიშნა, რომ ისინი ღირსეულად განაგრძობენ საქართველოს სპორტსმენთა სახელოვან ტრადიციებს.

ოლიმპიადის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმ მწვავე ბრძოლაზე, რომელიც გაჩაღდა მექსიკის დედაქალაქის არენებზე, იმაზე, თუ როგორ უხამებენ ისინი სპორტში აქტიურ მეცადინეობას სპეციალობით მუშაობასა და უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა სასწავლებლებში სწავლას, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მომავლის გეგმები. სპორტსმენებმა პირობა დადეს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ, რათა კვლავაც მაღლა ატარონ საბჭოთა სპორტის დროშა, დაიცვან ჩვენი რესპუბლიკის ღირსება სრულიად საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

საუბრის დროს აღინიშნა, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს სპორტული ბაზების მშენებლობასა და სპორტული ინსტალაციის ამაღლებას. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში უნდა მონაწილეობდნენ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე Ბ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები Ლ. ᲡᲐᲜᲐᲫᲔ და Ვ. ᲑᲐᲚᲐᲕᲐᲫᲔ.

ᲛᲔᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲭᲝᲑᲐ

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲛᲝᲛᲣᲚᲝ ᲑᲘᲡ

სახლის სვეტებიან დარბაზში 27 ნოემბერს გაგრძელდა მხატვართა მე-3 სრულიად საკავშირო ყრილობის სხდომები. ყრილობას მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი Ა. Ნ. ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲪᲘᲜᲘ.

ყრილობის დელეგატები განაგრძობენ მოხსენებათა განხილვას.

თავმჯდომარე პირველ სიტყვას აძლევს **Გ. ᲒᲠᲝᲛᲝᲕᲘᲡ** (ბელორუსია).

ორატორმა აღნიშნა ამ ბოლო წლებში რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების განვითარებაში მოპოვებული წარმატებანი და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სამხედრო-პატრიოტულ თემას ხელოვნებაში, ისეთი ნაწარმოებების შექმნის პრობლემებს, რომლებიც ასახავენ ხალხის გმირობას დიდი სამამულო ომის დროს ფრონტებზე და პარტიზანულ რაზმებში.

სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **Ლ. ᲙᲣᲚᲘᲯᲐᲜᲝᲕᲐ** თავის კოლეგებს—მხატვრებს მიეღოცა მთავრობის საპატიო ჯილდო—ლენინის ორდენი და უსურვა ახალი წარმატებანი. მან მოიყვანა ორი შემოქმედებითი კავშირის, სახვითი ხელოვნებისა და კინოს მოღვაწეთა მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის მრავალი მაგალითი და გამოთქვა რწმენა, რომ მხატვართა და კინემატოგრაფისტთა საქმიანი თანამეგობრობა კვლავაც გაიზრდება და გაფართოვდება.

მხატვართა მე-3 სრულიად საკავშირო ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა **Გ. ᲡᲘᲜᲘᲝᲕᲝᲕᲐ.** მან თქვა, რომ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ 15-ვე მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ქალაქების 105 დელეგაციის, ოლქებისა და ქალაქების 105 დელეგატი. ხუთი წლის მანძილზე, რაც გავედა მეორე და მესამე ყრილობებს შორის, შემოქმედებითს კავშირში მიღებულია 2.358 მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე.

ვოლგისკის ავტომექანიკოსის მშენებელთა სახელით ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა **Ა. ᲣᲚᲔᲡᲝᲕᲐ** ყრილობის დელეგატებსა და კვეყნის ყველა მხატვარს მიულოცა საპატიო ჯილდო — ლენინის ორდენი და უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებანი. საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი შრომა, თქვა ორატორმა, სულ უფრო მკაფიოდ და მრავალმხრივ ისახება მხატვრულ შემოქმედებაში.

Გ. ᲙᲝᲠᲔᲔᲕᲐ (რუსეთის სფსრ) ილაპარაკა იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთის ფუნჯისა და სპრეცოლის ოსტატთა ყურადღების ცენტრში ლენინ არის ლენინის თემა. ისეთი ნამუშევრების შექმნა, რომლებიც გვიხატავენ დიდი ლენინის სახეს, ხელოვნების ერთ ასახავენ ლენინური იდეების გამარჯვებას. მხატვრებისგან მოითხოვს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. შემდეგ ორატორი შეეხო მხატვართა, მოქანდაკეთა და გრაფიკოსთა შემოქმედებითი მეთოდის პრობლემებს და ხაზი გაუსვა, რომ სოციალისტური რეალიზმი არის და იქნება ნამდვილად ხალხური ხელოვნების, მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაწარმოებთა შექმნის მეთოდი.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სახელით ყრილობისადმი მისალმება გამოაქვეყნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა **Გ. ᲛᲐᲠᲙᲝᲕᲘ.**

დახატო ჩვენი თანამედროვეს პორტრეტი ისე, რომ იგი საუკუნეებში დარჩეს, **Მ. ᲐᲜᲘᲙᲣᲨᲘᲜᲘᲡ** (ლენინგრადი) აზრით დროის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სოციალური შეკვეთაა. სახეთთა ადამიანები იმსახურებენ, რომ ისინი ასახონ არა უბრალოდ, არა ნატურიდან, არამედ უფრო მნიშვნელოვნად და ამაღლებულად. საჭიროა, რომ ჩვენმა ნაწარმოებებმა გამოხატოს საუკეთესო ადამიანური გრძნობები — ოპტიმიზმი, სიცოცხლის ტრფიალება, ნათელი იდეალების რწმენა.

Ხ. ᲮᲣᲨᲕᲐᲫᲔᲛᲐ (ტაჯიკეთი) ხაზი გაუსვა სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მნიშვნელობას ტაჯიკეთის სახვითი ხელოვნების განვითარებაში.

უნგრეთის მხატვართა კავშირის სახელით დელეგატებს მიესალმა **ᲘᲨᲢᲕᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲩᲐ.**

თავის გამოსვლაში **Გ. ᲝᲑᲣᲮᲘ** (მოლდავეთი) შეეხო მრავალეროვნული სოციალისტური ხელოვნების ურთიერთ გამდიდრებას. საბჭოთა ხელოვნება, თქვა მან, მუდამ ესწრაფვის დიდი, მნიშვნელოვანი სოციალური თემების დადაწყვეტას. ასეთი ტენდენცია მხატვარს უყენებს გადიდებულ მოთხოვნებს.

Ა. ᲛᲘᲚᲜᲘᲩᲝᲕᲐ (ლენინგრადი) ილაპარაკა, რომ მხატვრული ნაწარმოებები ყოველთვის ადამიანებისათვის არის განკუთვნილი და ამიტომ უნდა „იცხოვრონ“ ადამიანთა შორის.

Ი. ᲢᲝᲠᲜᲐ (ესტონეთი) დიდი ყურადღება დაუთმო სამრეწველო ესთეტიკის საკითხებს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება რესპუბლიკაში.

თაიანი რესპუბლიკის მხატვართა მომზადებაზე ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის უამბო დამწყრეთ **Რ. ᲐᲑᲔᲓᲝᲕᲐ** (უზბეკეთი). იგი შეეხო ავრეთვე სამხატვრო ჟურნალების საქმიანობას, შეიტანა წინადადებები მათი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

პოლონეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **Ვ. ᲑᲣᲩᲘᲪᲘ** თავისი კოლეგების სახელით გულთბილად მიულოცა საბჭოთა მხატვრებს მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ლიტველ მხატვართა წელილზე საბჭოთა კულტურის განვითარებაში ილაპარაკა **Ი. ᲙᲣᲜᲘᲜᲘᲜᲘᲜᲘᲡᲐ** (ლიტვა). მან აღნიშნა, რომ ხელოვნება მოწოდებულია დახვეწოს საბჭოთა ადამიანების გემოვნება და დაამშვენოს მათი ყოფა-ცხოვრება.

Ვ. ᲒᲘᲣᲠᲯᲘᲐᲜᲘᲜᲐ (სომხეთი) თავის გამოსვლაში ილაპარაკა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემებზე. ამას წინათ სომხეთის დედაქალაქში იდღესასწაულა თავისი 2.750 წლისთავი. ეს იყო ნიჭიერი ხალხის როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა კულტურის დღესასწაული. სომხური ხელოვნების განვითარება მშვენიერად იყო ცხადყო დიდმა გამოფენამ, რომელიც ერევნის იუბილეს მიეძღვნა.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

ᲛᲖᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ — ᲕᲘᲔᲗᲜᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ᲐᲛ უკანასკნელ დღეებში მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაციის მოლაპარაკება. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი **Ვ. Ნ. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲘ**, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას — ვიეტნამის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე **ᲚᲔ ᲗᲘᲜ ᲜᲒᲘ.**

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘᲡ.** როგორც აღნიშნულია ერთობლივ კომუნიკეში, მეგობრული საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება და ინფორმაციის გაცვლა მრავალ საკითხზე, რომლებიც ეხება ვიეტნამის მდგომარეობასა და ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, აგრეთვე სხვა საკითხებზე.

მოლაპარაკების შედეგად, ნათქვამია კომუნიკეში, 1968 წლის 25 ნოემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებებს საბჭოთა კავშირის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის უსასყიდლო ეკონომიური და სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ, ახალი გრძელვადიანი კრედიტების მიცემის შესახებ, სსრ კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1969 წელს საქონელბრუნვის შესახებ, აგრეთვე დოკუმენტებს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის ზოგიერთ სხვა საკითხზე.

შეთანხმებანი ითვალისწინებენ, რომ საბჭოთა კავშირი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას 1969 წელს მიაწვდის დიდძალ სურსათს, ნავთობპროდუქტებს, სატრანსპორტო საშუალებებს, კომპლექტურ მოწყობილობას, შავ და ფერად ლითონებს, ქიმიურ სასუქებს, შეიარაღებას, საბრძოლო მასალებსა და სხვა საქონელსა და მასალებს, რომლებიც საჭიროა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ეკონომიკის განვითარებისა. (საკდესი).

ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲨᲗ ბოლო დღეებში მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური დელეგაციის მოლაპარაკება. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ᲒᲘ. Ნ. ᲜᲝᲕᲘᲙᲝᲕᲘ, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას — ვიეტნამის შრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘᲡ. მეგობრული საუბრის დროს გაიმართა აზრთა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარება ბევრ საკითხზე, რომლებიც ეხება ვიეტნამის მდგომარეობასა და ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, აგრეთვე სხვა საკითხებზე.

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციამ და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიურმა დელეგაციამ განიხილეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სამხედრო დახმარების საკითხი. დელეგაციებმა განიხილეს აგრეთვე საკითხები, რომლებიც ეხება სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინათ დადებულ ეკონომიურ შეთანხმებათა რეალიზაციას, და კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ისინი წარმატებით სრულდება.

საბჭოთა მხარემ კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულად იცავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებს, კვლავაც იქნება ვიეტნამელი ხალხის მხარეზე, გაუწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას მისი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიურმა დელეგაციამ ვიეტნამელი ხალხის, ვიეტნამის მშრომელთა პარტიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას დიდი, მნიშვნელოვანი და ეფექტიანი დახმარებისათვის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და თავდაცვის განმტკიცების საქმეში და მძლავრი ძმური მხარდაჭერისათვის ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამართული მოლაპარაკების შედეგად 1968 წლის 25 ნოემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის შესაბამისად საბჭოთა კავშირი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას გაუწევს უსასყიდლო ეკონომიურ და სამხედრო დახმარებას, მისცემს ახალ გრძელვადიან კრედიტებს, აგრეთვე შეთანხმდებას სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1969 წლის საქონელბრუნვის შესახებ, და დოკუმენტებს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის ზოგიერთ სხვა საკითხზე.

შეთანხმებანი ითვალისწინებენ, რომ საბჭოთა კავშირი 1969 წელს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდის დიდძალ სურსათს, ნავთობპროდუქტებს, ტრანსპორტის საშუალებებს, კომპლექტურ მოწყობილობას, შავ და ფერად ლითონებს, ქიმიურ სასუქებს, იარაღს, საბრძოლო მასალასა და სხვა ქონებასა და მასალებს, რომლებიც საჭიროა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ეკონომიკის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში და დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობის, საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხების საბრძოლო სოლიდარობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲔᲒᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲒᲨᲘ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წლის ივლისში ფართო განხილვისათვის გამოქვეყნდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი. პროექტმა, რომელიც შეიმუშავეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივმა კომისიებმა, გამოიწვია საბჭოთა ადამიანების მზერავალი ინტერესი. ამ დროის მახვილზე პალატების მუდმივმა კომისიებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სხვა ორგანოებმა მიიღეს სამინისტროებისა და უწყებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების სამი ათასზე მეტი წინადადება და შენიშვნა კანონპროექტის გამო. კანონპროექტის შესახებ წინადადებებსა და შენიშვნებს შეიცავს ბევრი წერილი, რომლებიც მიიღეს იმ ბეჭდვითების რედაქციებმა, რომლებმაც გამოაქვეყნეს მიწის კანონის პროექტი.

წერილების ავტორები მთლიანად იწონებენ მიწის კანონის ძირითად დებულებებს, ხაზგასმით აღნიშ

მეცნიერულ საფუძველზე

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში

საქართველოს კპ ქუთაისის საოლქო და ნოხუმის საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულ პლენუმზე

ერთ დღეს მუშა საწარმოში არ გამოცხადდა სიპატიო მიზეზის უმონლოდ. ამის შესახებ ოსტატმა ბატაკი დაწერა და საამქროს უფროსმა სასჯელი დაიდო სამუშაოს გამოდენს.

თითქოს აქ უჩვეულო არაფერია. ადმინისტრაცია გამოეხმაურა ამ ფაქტს, და შრომის დისციპლინის დამრღვევსაც თავისი მიეზღო. მაგრამ გადაწყვეტილების მიღებამდე არავინ არ დაინტერესებულა იმით, რომ ღრმად ჩასწვდომოდა მუშის მოქმედების ნამდვილ მიზეზს.

ზოგჯერ საქმე უფრო შორს მიდის. საწარმოში ადგილი აქვს კადრების დენადობას, არარიტმულობას, სგეგმო დავალებათა შეუსრულებლობას, უხარისხო პროდუქციის გამოშვებას.

როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევებში, როცა გვსურს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ საწარმოში შექმნილი ასეთი არასასურველი მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებზე?

ამ საქმეში დახმარების ხელს გვიწვდის სოციალური გამოკვლევა, **რაც** შინნად ისახავს საწარმოში საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავებას. ეს კი აუცილებელია კოლექტივის პერსპექტიული გეგმის შესადგენად ტექნიკური, ეკონომიური და ორგანიზაციული განვითარების ღონისძიებებთან ერთად.

შრომის სოციოლოგია ითვალისწინებს შრომით დაკმაყოფილების, შრომის სხვადასხვა მოტივის, შრომის პირობების გამოკვლევას, ადამიანთა იმ კონკრეტული სურვილების შესწავლას, რომლებიც მმართველია საწარმოში არსებულ ყოველგვარ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ, იმისკენ სწრაფვას, რომ გაითვალისწინონ ერთმანეთისაგან პროფესიით, სტაჟით, ასაკით, სქესით განსხვავებულ მუშათა ჯგუფების ინტერესები.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის მოწინავე სამრეწველო საწარმოებში დაიწყეს სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმების შემუშავება და დანერგვა. წელს ასეთი გეგმით თბილისშიც, ქერეოდ კი ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტში (დირექტორი **ა. ბუაძე**, პარტკომის მდივანი **კ. გურული**, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ლობჟანიძე**) დაინტერესდნენ.

საქმე იმით დაიწყო, რომ ქარხნის პარტიული კონტროლის კომისიამ მოხსენებითი ბარათით მიმართა საწარმოს პარტკომს. ბარათში დასმული იყო ქარხანაში შრომის სოციალური გამოკვლევის მოწყობის აუცილებლობა. კომისიის წინადადებით უნდა შექმნილიყო სპეციალური ჯგუფი, რომელსაც დაევალებოდა ასეთი გამოკვლევის მოწყობა და ქარხნის სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენა. კომისიის წინადადებითვე შეიქმნებოდა საქარხნო კომისია, რომელიც განიხილავდა გამოკვლევის შედეგებსა და სხვა მასალებს.

ქარხნის პარტკომმა და დირექციამ მოიწონეს პარტიული კონტროლის კომისიის ეს წინადადება და დაადგინეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან დაეწყოთ სოციალური გამოკვლევა, რაც საფუძვლად დაედებოდა ქარხნის სოციალური განვითარების 1969-1970 წლების პერსპექტიულ გეგმას.

პარტკომის დადგენილებით შეიქმნა ამ გეგმის შემმუშავებელი ბიურო, რომლის თავმჯდომარედ დამტკიცდა ქარხნის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსის მოადგილე, ახალგაზრდა კომუნისტი, ეკონომისტი **ედ. ვასილიევი.** დამტკიცდა სპეციალური კომისიაც პერსპექტიული გეგმის შემუშავებისა და შედგენის ხელმძღვანელობისათვის. ბიროელადი პარტორგანიზაციების მდივნებს, საამქროთა და განყოფილებათა უფროსებს დაევალათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქარხნის სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავებაში, ყოველმხრივ დახმარებოდნენ საქარხნო ბიუროსა და კომისიას.

მაგრამ მარტო ესეც არ კმაროდა. საჭირო იყო ამ საქმეში მოწინავე საწარმოთა მიერ შეძენილი გამოცდილების შესწავლა. არჩევანი ქალაქ ლენინგრადზე შეჩერდა. და ეს ქარხნის საგეგმო განყოფილების ყოფ. გამგე ი. კარტავა მივლინებულ იქნა ლენინის ქალაქში. მალე იქვე გაეგზავნა ედ. ვასილიევი.

ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ლენინგრადის ადგილზე გულდასმით ეცნობოდნენ ლენინგრადის ქარხნების „სვეტლანას", „კრასნი პროლეტარის", „ელექტროაპარატის" მუშაობის გამოცდილებას, ესაუბრებოდნენ მუშებს, სპეციალისტებს, კრებდნენ საჭირო მასალებსა და დოკუმენტებს. ბევრი რამ მისცა ამ ახსნანგებს ლენინგრადის ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ სოციალურ გამოკვლევათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში გატარებულმა დღეებმა.

და როცა ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ბიურომ ეს ინფორმაციები მოისმინეს ქარხნის სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმის შემმუშავებელი კომისიის სხდომაზე, აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ დადგინეს შემდგარიყო ქარხნის სოციალური განვითარების გეგმა. გაიშალა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამ საკითხს მიეძღვნა აგიტკოლექტივის მორიგი მეცადინეობა, მასზე ესაუბრებოდა მშრომელებს რადიო, წერდა მრავალტირაჟიანი გაზეთი.

ახლა ქარხანაში გულდასმით სწავლობენ ადამიანთა შრომისა და ცხოვრების კონკრეტულ პირობებს. ამ მიზნით მიმდინარეობს მუშამოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა გამოკითხვა სპეციალურად მომზადებული ანკეტებით, რომლებიც ქართულ და რუსულ ენებზე დაისტამბა.

ანკეტის მიზანია გამოარკვიოს: ადამიანთა სოციალური მდგომარეობა; მორალური და მატერიალური სტიმულირება; სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები; ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებათა განვითარება; კოლექტივში ურთიერთდამოკიდებულება და შრომის დისციპლინა; საერთო ცნობები საკუთარ თავზე; მშრომელთა წინადადებები.

რამდენიმე ათასი კაცისგან დღემდე გამოკითხულია დაახლოებით ათასი. ამავე დროს, გრეოდება მშრომელთა წინადადებანი და შენიშვნები, ანალიზი უკეთდება საქარხნო სტატისტიკურ მონაცემებს. შეკრებილი მასალების განზოგადება ქარხნის ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს განსაზღვროს კოლექტივში სოციალური ურთიერთობის სრულყოფის, მშრომელთა მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებანი. მთელი კოლექტივის გამოკითხვის დამთავრების შემდეგ გგიგებენ მუშათა შეხედულებებს ანკეტით დასმულ ყველა კითხვაზე.

უკვე დამთავრდა გამოკითხვა ქარხნის საიარაღო საამქროში. ანკეტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ საამქროს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზები ხშირ შემთხვევაში მუშათა შორის კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ტექნიკის განვითარების ჩამორჩენაში, წარმოების სუსტ ორგანიზაციაში, შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოუწესრიგებლობაში და სხვ.

ამჟამად ქარხანაში მზადდება ანალიზური მონაცემები ადამიანთა მომსახურების ცალკეული დარგების მუშაობის შესახებ. ამ საქმეში ჩაბმული არიან გამოცდილი ამხანაგები, რომლებიც თავიანთი მუშაობის სპეციფიკით უშუალოდ დაკავშირებული არიან ამ დარგებთან. ცალკეულ საამქროებში შექმნილია კომისიები, რომლებიც მუშებთან ახსნაგანმარტებითი [illegible] ინტერესულად ეს მარტებიან მათ ანკეტებს [illegible] ადგილზე. ამავე დროს საამქროთა [illegible] ადამიანთა უფროსები ანალიზს [illegible] თებენ და გეგმავენ [illegible] ინ ქარ-ნის სოციალური განვითარების [illegible] ტ.

ეს გეგმა ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს ორიენტაცია აიღონ, კონკრეტულად რა მიმართულებით წარმართონ თავიანთი შემდგომი მუშაობა მშრომელთა ფიზიკურ და სულიერ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის.

ქარხნის სოციალური განვითარების გეგმას **ხუთი** განყოფილება: საწარმოო კოლექტივის კვალიფიკაციური და პროფესიული სტრუქტურის სრულყოფა; შრომის პირობების გაუმჯობესება; ცხოვრების დონის ამაღლება და მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება; კოლექტივის სულიერ და ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; სოციალური **ურთიერთობის** სრულყოფა საწარმოს კოლექტივში.

ბრძოლის სოციოლოგია ახალი საქმეა საერთოდ თბილისში, კერძოდ ამ ქარხანაში. ამიტომ ამ საქმეში ზოგიერთი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანია და სიცხადის შეტანას მოითხოვს. ამიტომ თბილისელ ელექტროტექნიკოლებს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ქართველმა მეცნიერებმა. ამ დღეებში შემთხვევა გვქონდა დაესწრებოდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონკრეტული სოციოლოგიის კათედრის (ხელმძღვანელი პროფ. **ვ. ჭეჩარავა**) გაფართოებულ სხდომას უშუალოდ ელექტროტექნიკოლ ქარხანაში, საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ამ სხდომას მეცნიერებთან ერთად ესწრებოდნენ წარმოების მუშაკები — უმთავრესად ამ საქმით უშუალოდ დაინტერესებული ადამიანები.

ქარხნის პარტკომის მდივანი **კ. გურული**, რომელიც შეეხო საწარმოს სოციალური განვითარების გეგმის შედგენის აუცილებლობას, მიუსალმა მეცნიერთა ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს. მან იმედი გამოთქვა, რომ წარმოებისა და მეცნიერ მუშაკთა შემოქმედებითი კონტაქტები ყარგ შედეგს გამოიღებს. — ეს ღონისძიება, — დასძინა მან, — დაგვეხმარება გადავჭრათ არა მარტო ტექნიკურ-ეკონომიური საპრობლემო საკითხები, არამედ სწორადაც დავგეგმოთ საწარმოს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა.

აზრი გამოთქვეს დოცენტებმა **ა. ვარჩიაშვილმა, ზ. გელეფუკამ,** ასისტენტებმა **ვ. ბელიძემ, დ. ბეჭვაიამ,** მანქანათსათვალელი სადგურის მთავარმა ინჟინერმა **თ. ბარამიძემ,** ქარხნის ეკონომიური ანალიზის ლაბორატორიის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ნ. მალინინამ,** სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომელმა **ვ. გლუშენკომ** და სხვებმა.

დასასრულ პროფ. **ვ. ჭეჩარავამ** თავის გამოსვლაში აღნიშნა: — ვინც ახალი ეკონომიური რეფორმის განხორციელებას სერიოზულად ეკიდება (და სხვანაირად არც შეიძლება), ის სოციალურ გამოკვლევას გვერდს ვერ აუვლის. ქარხანაში შეექმნით სოციოლოგიის სახალხო უნივერსიტეტის ბაზას. აქვე ხშირად მოვაწყობთ ლექციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, გავაჩაღებთ ფართო ახსნაგანმარტებითს მუშაობის, პრაქტიკულად დაგეხმარებით ამ დიდი საქმის შესწავლაში. დამუშავებასა და წარმატებით დამთავრებაში.

უნივერსიტეტის კონკრეტულ სოციოლოგიას კათედრის გაფართოებულ **სხდომაზე** მეცნიერებმა და ელექტროტექნიკოლებმა **მიჩარა დადეს ერთობლივი მუშაობით გადაწყვიტონ სოციალური ურთიერთობის ხაკითხები, რომლებზეც დიდი მსჯელობა იყო სკკპ XXIII ყრილობაზე.**

ვ. ზუკაკიშვილი.



აძრის ჭარხლის უხვი მოსავალი მიიღეს წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებმა. ქალაქ ცხინვალის მიმღებ პუნქტში უწყვეტ ნაკადად მიდიან ახალი მოსავლის ჭარხლით დატვირთული მანქანები.

ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობამ მიმღებ პუნქტს ნაცვლად 11.880 ცენტნერისა უკვე ჩაბარა 17.120 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო სოფელ მუგუთის კოლმეურნეობამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.500 ცენტნერისა — 6.648 ცენტნერი ჭარხალი. შაქრის ჭარხლის ჩაბარება გრძელდება. სურათზე: შაქრის ჭარხლის გადმოტვირთვა ცხინვალის მიმღებ პუნქტში.

ფოტო **ვ. უბოლეინკოსი.**
(საქდესის ფოტოქრონიკა).

რეზერვები და სინამდვილე

ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების შედეგები. პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. ძაძუა.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში გატარებული ღონისძიებანი ხელს უწყობდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მისი მნიშვნელოვანი დარგების — მემცენარეობისა და მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებას.

აფხაზეთის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ მოსავლიანობის გადიდებას. უკანასკნელ წლებში აქ საგრძნობლად ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა, საუკეთესო ვადებში ტარდება მინდვრის სამუშაოები, უფრო ეფექტურად მიმდინარეობს ბრძოლა მინდვრებისა და პლანტაციების სარეველებისა და მავნებლების წინააღმდეგ, გაუმჯობესდა სასუქების გამოყენება, მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორცელდება მიწების მელიორაციისა და მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის.

კმაყოფილებით ითქვა, რომ ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. განსაკუთრებით წარმატებით ხორციელდება ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების ხუთწლიანი დავალება. 1966-1968 წლებში აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრიფეს და ფაბრიკებს ჩაბარეს 112.345 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 103.075 ტონისა, ე. ი. სამი წლის დავალება შესრულებულია 108 პროცენტით. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე.

მიმდინარე წლის ამინდის არახელსაყრელი პირობების გამო პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობათა გამგეობებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექციებს შექმნილი მდგომარეობის შესაბამისად მოუფდათ თავიანთი მუშაობის გარდაქმნა. თავდადებით შრომობდნენ ჩაის პლანტაციების მშრომელები, რის შედეგადაც წარმატებით შესრულდა ჩაის წარმოების გეგმა და ნაკისრი ვალდებულებაც. აფხაზეთის მეჩაიეებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 88.355 ტონა ფოთოლი, ანუ გეგმის გადამეტებით 1.500 ტონა.

განსაკუთრებით წარჩინებული ეჭვა გალის რაიონის მშრომელებს. მათ წელს აფხაზეთში პირველებმა უპატაკეს სამშობლოს ჩაის ფოთლის კრეფის გეგმისა და ვალდებულების შესრულება. კარგად მიმდინარეობს ამ ძვირფასი ნედლეულის წარმოება და დამზადება ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონებშიც.

ამასთან ერთად პლენუმის მონაწილეებმა მთავარი ყურადღება გამამახვილეს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. მათ თქვეს, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქციის წარმოების მოცულობა, შრომის ნაყოფიერება ჯერ კიდევ ჩამორჩება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ დონეს.

ბევრ მეურნეობაში დაბალია წარმოების ზრდის ტემპები, ვერ ამორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს თამბაქოს, სიმინდის, ეფერშეთოვანი კულტურების, ბოსტნეულისა და ხილის მოსავლიანობის ამაღლებისათვის.

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის დავალება, მაგრამ ყურძნის მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

ასევე სათანადო ყურადღება არ ექცევა ციტრუსოვანთა წარმოების ზრდას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამსწორებლად პლენუმზე აფხაზეთის რესპუბლიკა სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციების გაშენების დავალების შეუსრულებლობისათვის და არსებული რეზერვების არასრულად გამოყენებისათვის.

არ სრულდება სხვა მრავალწლიან კულტურათა გაშენების დავალებებიც. ჩამორჩება საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს სერიოზული ნაკლოვანებები ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების საქმეში.

საქართველოს კპ სოხუმისა და გულრიფშის რაიკომების პირველი მდივნები ხ. ავიძბა, ხ. ჭიქია, გალის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. აბლოთია, გაგრის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ალანი, სოხუმის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „სანერგის" დირექტორი ნ. გოგია, „საქსოფლტექნიკის" გულრიფშის რაიონული განყოფილების მმართველი ხ. წირღვავა, გაგრის რაიონის სოფელ ხაშუფსეს თუმანიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ზებელიანი, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ო. პოროშინი, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეორე შახტის ბრიგადირი მ. ბიგვავა ლაპარაკობდნენ აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წლებში მიღწეულ წარმატებებზე, ამასთან ერთად ხაზს უსვამდნენ არსებული რეზერვების გამოყენების, პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლების საკითხებს.

საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. გვარამიამ ილაპარაკა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხზე. თქვა, რომ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა შეიმუშავეს და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე დააყენეს საკითხი რაიონში მეთამბაქოობის საბჭოთა მეურნეობის შექმნის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით ეს გადაუწყვეტელიაო.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროექტორმა სამეცნიერო მუშაობის დარგში დოცენტმა ლ. მარშანიამ წამოაყენა წინადადება ინსტიტუტში აგროეკონომიური ფაკულტეტის გახსნის თაობაზე. აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ა. ლეონიძემ კი ხაზი გაუსვა კოლმეურნეობების მიერ მიღებული შემოსავლის სწორად განაწილების სიკეთეს.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც ახალი ამოცანები დასახეს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

პლენუმის მონაწილეებმა ასევე ერთსულოვნად მოიწონეს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგარეოპოლიტიკური მოლაპარაკება.

მეჩაი

ქედა. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კპ ქედის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით", მოხსენებით გამოვიდა რაიკომის პირველი მდივანი ვლ. ნაკაშიძე.

მოხსენების არგუმენტ კამათში მონაწილეობა მიიღეს აწესების დირექტორმა მ. მიქელაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარმა აგრონომმა კ. ბერიძემ, დოლოგნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. საფარიძემ და სხვებმა.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ბუთფლედის პროგლემები

ბინერალური ნედლეულის ღირებულების შემცირება ამჟამად ყველაზე აქტიური პრობლემაა ჩვენს სახალხო მეურნეობაში. მის გადაწყვეტას წინ ეღობება სამთო მრეწველობის სპეციფიურობით გამოწვეული მრავალი დაბრკოლება. მოცემულ შემთხვევაში განიხილება არა მარტო ეკონომიური პრობლემა, არამედ სოციალური ამოცანაც — ადამიანის განთავისუფლება მიწისქვეშა მძიმე შრომისაგან. სამთო საქმე დაკავშირებულია მიწის ქერქის სიღრმეში ადამიანის შეჭრის აუცილებლობასთან, რაც დიდ საფრთხეს უქმნის მუშახელს, ტექნიკას, ამიტომ წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავებასთან შედარებით საბადოთა ღიად დამუშავებას დიდი უპირატესობა ენიჭება. სახელდობრ, 2-3-ჯერ უფრო ნაკლები კაპიტალდაბანდება ისარჯება ერთ ტონა მადნის წლიურ ამოღებაზე. ამასთან საპროექტო სამძლავრის ათვისების დრო შედარებით ნაკლებია. მარგი წიაღისეული უფრო სუფთაა, მცირეა დანაკარგები, მადნეულის ამოღების მნიშვნელოვანი გადიდება შესაძლებელია მოწყობილობათა უმნიშვნელოდ გადიდების ხარჯზე.

ღია სამუშაოთა მექანიზაციას ისეთი შეზღუდვები არა აქვს, როგორიც მიწისქვეშა დამუშავებას. შესაძლებელი ხდება ნებისმიერი გაბარიტის მქონე ახალი მაღალი წარმადობის მექანიზმთა გამოყენება.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად მიმდინარე ხუთწლედში ნახშირის ამოღება მუშახელის როდენობის გაუდიდებლად 10 მილიონი ტონით მოლიანად შრომის ნაყოფიერების ზრდის ანგარიშზე უნდა გაიზარდოს. ეს ამოცანა გათვალისწინებულია გადაწყდეს ნახშირის ამოღებაში ღიად დამუშავების წილის 28 პროცენტამდე აყვანის ხარჯზე.

1980 წლისათვის სსრ კავშირში მადნეულის ღია დამუშავების წილმა ყველა მარგი წიაღისეულის ამოღებაში 70 პროცენტი უნდა შეადგინოს. ღიად დამუშავების ასეთი დიდი ვაჯრცელება ყოველწლიურად გამოიწვევს ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მწყობრიდან გამოსვლას. საბადოთა ღიად დამუშავების ამ უდიდეს და ერთადერთ ნაკლს ვერც საქართველოს სსრ საბადოები ასცდება, რადგან ჭიათურის მარგანეცის საბადოს საკმაო ნაწილი ღიად მუშავდება, მას ემატება სხვა ლითონური და არალითონური საბადოებიც, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენი რესპუბლიკის პირობებში დაზიანების ზონაში მოჰყვება ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ჩაის, ყურძნის, ხილისა და მარცვლეულისათვის განკუთვნილი ფართობები. ამიტომ მათი ნაყოფიერების აღდგენა შეუნელებელ ზრუნვას მოითხოვს. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ნიადაგი დედამიწის ქერქის ზედაპირული შრეა, რომელიც ასაზრდოებს მცენარეულ საფარს. მისი შექმნა მეტად ძნელი და ხანგრძლივი პროცესია.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ნიადაგი თვითონვე წარმოადგენს უძვირფასეს მარგ წიაღისეულს. საბადოთა ღიად დამუშავებისას აუნაზღაურებლად ისპობა ნიადაგი და სხვადასხვა სახის საკარგულები.

მარგი წიაღისეულის საბადოთა ღიად დამუშავებული საწარმოების ტექნიკური ექსპლოატაციის წესებში მითითებულია, რომ საბანაყარო საბუშაოების წარმოებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას დაკავებული ფართობების სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელახალი გამოყენება და ტყის გასაშენებლად ათვისება. აი რატომ მიგვაჩნია საჭიროდ დაისახოს ღონისძიებანი შემდგომში ამ დიდი სახალხო-სამეურნეო საქმის მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

ღიად დამუშავებულ ფართობებზე ნიადაგის აღდგენის საკითხი ჩვენს ქვეყანაში პირველად 1956 წელს დაისვა ჭიათურის მარგანეცის მადნის ნაწილის ამ წესით დამუშავებასთან დაკავშირებით.

1959 წელს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის საბადოზე ასეთ ნიადაგზე ბალახეულობის მაღარითა სამმართველომ (სოფ. დარკვეთის საკარიერო გამომუშავებულ ველზე) „საქმახტპოექტის" დაგეგმარების მიხედვით დაიწყო ნიადაგის ტექნიკური აღდგენა, ხოლო 1960 წელს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტმა ამ ანონიმულ მოსწორებულ ფართობზე — ბიოლოგიური აღდგენა (ხელმძღვანელი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. გოგატიშვილი). ამჟამად ჭიათურის ღიად დამუშავებულ ველებში ტექნიკურ აღდგენაზე მუშაობას სპეციალურად დაკომპლექტებული ბრიგადა აწარმოებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური აღდგენის ღირებულება და მოსწორებული ნაყარისათვის სასურველი ფორმის მიცემა დიდად არის დამოკიდებული ამ პროცესისათვის მომარჯვებული მექანიზმების გამოყენებაზე. ამ მხრივ ბულდოზერებთან ერთად საჭიროა სხვა სახის მიწასათხრელი სატრანსპორტო მანქანების გამოყენებაც.

ნიადაგის აღდგენის საქმეში, მიუხედავად ჭიათურელთა დიდი ენთუზიაზმისა, ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკებმა გაიცილებით მეტი გააკეთეს. მისაბაძია მოძმე დემოკრატიული ქვეყნების მიღწევებიც. ეფექტურ აღდგენით ღონისძიებებთან ერთად ისინი ახორციელებენ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას — აღსადგენ ფართობს ამარაგებენ სარწყავი წყლით. ამას მოითხოვს ნიადაგის მცენარეული საფარის სწრაფად აღდგენის ინტერესები, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა. ეს კი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჭიათურის მადნის შემცველი ველების ახლოს სარწყავი წყლის წყაროები საკმაოდ ბევრია. ოღონდ საჭიროა მათი რაციონალური გამოყენება და სახელმწიფო ინტერესების სამსახურში ჩაყენება.

საყურადღებოა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის საკავშირო-საძიებო ინსტიტუტის მიერ მიღებული შედეგები ნიადაგის ბიოლოგიური აღდგენის საქმეში სოფელ დარკვეთის საცდელ ფართობზე. ამ ნაკვეთზე ექსპერიმენტები, როგორც აღდგენილ ნიადაგში, ისე მოსწორებულ ნაყარზე მიმდინარეობს. 1962 წელს აქ გაშენეს საცდელი ვენახი ორგანული და მინერალური სასუქის გამოყენებით.

სამი წლის მონაცემების მიხედვით ზოგიერთ აღდგენილ ნიადაგზე სასუქის გამოყენებით მიღებულია 10-14 ცენტნერი მარცვლეული ჰექტარზე. მოსწორებული ნაყარის უსასუქო ვარიანტზე მოსავალი მცირეა, ჰექტარზე ერთ ცენტნერს ძლივს აღემატება. საცდელმა ტყის ნარგავებმა აღნიშნულ ნაკვეთზე კარგად იხარეს. ფოლოდვანი ჯიშების გახარებამ 80-100 პროცენტს მიაღწია, წიწვიანმა — 55-57 პროცენტს. სარწყავ ნიადაგზე მცენარეული 5-10 პროცენტით უფრო მეტად ხარობს ვიდრე ურწყავზე. გამოცდილი ჯიშებიდან საუკეთესო ზრდით გამოირჩევა თეთრი აკაცია.

ხშირად ამბობენ, რომ ნიადაგის აღდგენითი სამუშაოების წარმოება დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. მართალია, ეს საქმე თავის მხრივ, რასაკვირველია, აძვირებს პროდუქციას, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაყოფიერი მიწების დაკარგვით მიღწეული „ეკონომია" ბევრად უფრო მეტ დანაკარგებს იწვევს სოფლის მეურნეობაში. საწარმოო რესურსების ობიექტური შეფასება, ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენება, ჰექტარი მიწიდან მოსავლიანობის ყოველმხრივ გადიდება და ამ საქმეში უწყვეტრობის გამოვლინების აღკვეთა, როგორც ჩანს, დამოკიდებულია ანგარიშის ამოსავალ პოზიციაზე, ხოლო ამოსავალი პოზიცია ჩვენს პირობებში სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ მომავალ თაობებს მიწები გაუმჯობესებული დავუტოვოთ.

ჩვენის აზრით, სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ღიად დამუშავების ასეთი დიდი მასშტაბით განვითარების პირობებში გამომუშავებულ ფართობებზე ნიადაგის აღდგენის ყველა მოთხოვნილებათა დაცვასა და უწყვეტრივ კონტროლთან ერთად აუცილებელია უფრო ფართო კონტროლის დაწესება.

ვ. ქოიავა.

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ფული შეაგროვეს, საქმე კი...

წერილი კომენტარით

ზესტაფონის რაიონის სოფელ ხარჭვის ხაშუალო სკოლის დირექტორმა თ. წაქაძემ, ექიმმა გ. გიორგაძემ, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. კაკაურიძემ და სხვებმა სასაფლაოს ტერიტორიის შემოსაკავებლად სოფლის მოსახლეობისგან თვითეული ოჯახიდან მოაგროვეს 5 მანეთი. მას შემდეგ მეორე წელი სრულდება, მოგროვილი ფულით კი არაფერი გაუკეთებიათ. გვაინტერესებს, რატომ გაანიავეს ხალხის ფული?

ასეთი წერილი მიიღო რედაქციამ ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირიდან.

რედაქცია დაინტერესდა და ადგილზე შეამოწმა წერილში აღნიშნული ფაქტები.

თავიდანვე სოფლის მესვეურებმა აღნიშნეს, ეს საკითხი სასოფლო საბჭოს სესიაზე საგანგებოდ განხილეთო.

— რა საკითხი განიხილეთ საგანგებოდ სასოფლო საბჭოს სესიაზე — სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვისათვის მოსახლეობიდან ფულის მოგროვების საკითხი?

— ვეკითხებით საშუალო სკოლის დირექტორს თ. წაქაძეს, როშელიც სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა.

— დიახ, სოფლის სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა სოფლისათვის საჭირბოროტო საკითხია. ხალხი წუხდა ამაზე, და სესიაზე განვიხილეთ...

მოსახლეობიდან ფულის მოსაგროვებლად გამოყოფილი პირების ხელმძღვანელობა უკისრიათ სვირის საშუალო სკოლის დირექტორს

საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები

მსოფლიოს დეპეშათა
საკვანძო ადგილებიდან

უძეგენ კრიზისიდან გამოსავალს

ლონდონი, 27 ნოემბერი. საკვანძოს კორესპონდენტი ვ. ნიკიტინი იუწყება: ადგილობრივი მიმოხილველები მსოფლიო სავალუტო ბაზარზე მეფობილ მდგომარეობას, ახასიათებენ როგორც „დროებით შესვენებას ახალი შეჯახების წინ". გირვანქა სტერლინგის კურსმა, რომელმაც 25 ნოემბერს დაიწია სამიან დონემდე, ლონდონის სავალუტო ბირჟის გახსნის შემდეგ, გუშინ რამდენადმე აიწია ინდოეთის ბანკის ჩარევის მეოხებით.

მაგრამ როგორც გაზეთი „გარდიანი" აღნიშნავს, უკიდურესი ნერვიულობის მდგომარეობა კვლავ სუფევს ლონდონის ფინანსურ წრეებში.

თურქეთის უარი

ანკარა, 26 ნოემბერი. (საკვანძო). როგორც აქ ცნობილი გახდა, თურქეთმა არ დართო ნება მოეწყოთ მის ტერიტორიაზე ნატოს მანევრები. „ორიენტ ექსპრესი", რომელიც დაგეგმილი იყო მომდინარე წლის ოქტომბრისათვის. ამას იუწყება დღეს გაზეთი „ჟუმჰურიეთი".

ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის სარდლობის გეგმებით, ნათქვამია ცნობაში, ნატოს შენაერთი 3.500 კაცის შემადგენლობით „ნაციელი ენერლის სარდლობით, უნდა ჩამოსულიყო ევროპიდან დიარბაკირში და თურქეთის ჯარის ნაწილებთან ერთად მოეწყო მანევრები სირიის საზღვართან.

მიუხედავად ნატოს ევროპის გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ამერიკელი გენერლის ლემნიტზერის დაჟინებითი მოთხოვნებისა, თურქეთის გენერალურმა შტაბმა არ მისცა თანხმობა მოეწყოთ მანევრები.

შეთქმულება კვიპროსის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი (საკვანძო). კვიპროსის ყოფილმა შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრმა პოლიკარპოს გეორგაჯისმა, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საagენტო, საბერძნეთის ხუნტას ბრალად დასდო შეთქმულების მოწყობა იმისათვის, რომ კვიპროსელებისათვის თავს მოეხვია კვიპროსის პრობლემის მაუღებელი გადაწყვეტა. გეორგაჯისი იძულებული იყო გადამდგარიყო შანტაჟისა და მუქარის უპრეცედენტო კამპანიის შედეგად, რომელსაც მის წინააღმდეგ აწარმოებდნენ საბერძნეთის ხელმძღვანელები. მათ კვიპროსის მინისტრს წაუყენეს ბრალდება, რომ მონაწილეობდა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ პაპანდოპულოსზე თავდასხმაში.

გამოვიდა რა ნიკოზიის ახლოს სოფელ მამარში გამართულ მიტინგზე, გეორგაჯისმა მოუწოდა კვიპროსელებს ფხიზლად იყვნენ „ათენელ პოლკოვნიკთა გეგმების მიმართ, რომლებიც საეჭვო და საშიშია კვიპროსისათვის".

◆

დღის წესრიგში დეკოლონიზაცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე კომიტეტში

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკვანძო). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე კომიტეტში იხილავენ დეკოლონიზაციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის განხორციელების საკითხს. გუშინ კომიტეტის სხდომაზე გამოსულმა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ლ. ისრაელიანმა ხაზი გაუსვა, რომ კოლონიური ტერიტორიების პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ეკონომიკური სოციალური და ეკონომიური სამართლიანობის გზაზე მთავარი დაბრკოლებაა დასავლეთის იმპერიალისტური მონოპოლიების საქმიანობა, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ დამოკიდებული ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს, უდიდეს მოგებას იღებენ ამ გზით და ადგილობრივ უფლებულად დარჩენილ არსებული მდგომარეობა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმპერიალისტური მონოპოლიების საქმიანობის უშუალო გაგრძელებაა კოლონიური სახელმწიფოების სამხედრო საქმიანობა დამოკიდებულ ტერიტორიებზე. სწორედ მონობოლიები წარმართავენ „პატიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეების პოლიტიკას იმ მიზნით, რომ თავიანთი ინტერესები კოლონიურ ტერიტორიებზე დაიცვან ყველა საშუალებით და უწინარეს ყოვლისა სამხედრო საშუალებებით. იმპერიალისტური სახელმწიფოები არათუ არ აფრქმენენ თავიანთ ძველ ბაზებს, არამედ კიდევ უფრო ზრდიან სამხედრო პოტენციალს კოლონიურ ტერიტორიებზე, რომლებსაც სამხედრო პლაცდარმებად აქცევენ.

საბჭოთა დელეგაცია, ხაზი გაუსვა ვ. ლ. ისრაელიანმა, სავსებით უჭერს მხარს 24 ქვეყნის კომიტეტის დასკვნებსა და რეკომენდაციებს და გადაჭრით ამბობს, როგორც დანაშაულს კოლონიობის წინააღმდეგ და სერიოზულ საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისადმი, სამხედრო ძალის გამოყენებას იმ მიზნით, რომ ჩაახშონ კოლონიურ ხალხთა კანონიერი მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი.

კოლონიებში იმპერიალისტური სახელმწიფოების საქმიანობის გამო, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ჰაერა კოლონიური ტერიტორიების ბედი, რომლებსაც იმპერიალისტები სულ უფრო მეტ ადგილს უთმობენ თავიანთ აგრესიულ გეგმებში. კუნძულს, მაგალითად, ამერიკას

შეერთებული შტატები იყენებს როგორც სამხედრო ბაზას სამხედრო-საჰაერო ძალების ქვეგანაყოფებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ვიეტნამის ომში. ამაღლების კუნძული გადაქცეულია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის ბაზად. გიბრალტარი გახდა ინგლისის სამხედრო ბაზა ხმელთაშუა ზღვაში, პუერტო-რიკო — ამერიკის შეერთებული შტატების ბაზა კარიბის აუზის რაიონში. შემთხვევით რომ ეცდილობენ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, ავსტრალია და სხვა კოლონიური სახელმწიფოები სხვადასხვა სამეგობრო სამუდამოდ დამკვიდრდნენ კოლონიურ ტერიტორიებზე.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა მოიწოდა გენერალურ ასამბლეას აშკარად და არაორაზროვნად მოსთხოვოს მმართველ სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მოეხსნა კოლონიურ წესებს ტერიტორიებზე, რომლებიც მათს მფლობელობაშია. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირი, ემყარება რა თავის პრინციპულ პოზიციას, მხარს უჭერს ხალხთა ბრძოლას პოლიტიკური და სოციალური განთავისუფლებისათვის.

სატო კვლავ აირჩიეს

ტოკიო, 27 ნოემბერი. (საკვანძო). მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობაზე, რომელიც იაპონიის დედაქალაქში გაიმართა, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ ზედიზედ მესამე ვადით აირჩიეს ეისაკუ სატო — იაპონიის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი.

კენჭისყრამ, რომლითაც ტრადიციისამებრ დამთავრდა ლიბერალ - დემოკრატიული სხრაფი ყრილობა, ხმის დათვლასთან ერთად ორ საათზე ნაკლებს რომ გაგრძელდა, ცხადყო, რომ სატოს ფრაქცია და დაჯგუფებანი, რომლებიც მათ მხარს უჭერენ, უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ, ვიდრე ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მიკისა და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი გენერალური მდივნის მაეოს და მათ მომხრეთა დაჯგუფებანი, რომლებიც ყრილობაზე გამოდიოდნენ სატოს წინააღმდეგ. გამარჯვება საშუალებას აძლევს სატოს კიდევ ორი წლის ვადით დარჩეს იაპონიის პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

ძალებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს სატოს არჩევას, იმედი აქვთ მისი გამოცდილებისა, იმედი აქვთ, რომ იგი განახორციელებს იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების შენარჩუნების კურსს.

კუვ დე მიურვილის განცხადება

საქმეში შეთანხმება

პარიზი, 27 ნოემბერი. (საკვანძო). გუშინ პრემიერ-მინისტრმა კუვ დე მიურვილემ ეროვნულ კრებაში წაიკითხა მთავრობის განცხადება კვეყნის ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

კუვ დე მიურვილმა აღნიშნა, რომ, საფრანგეთის აზრით, ახლანდელ საერთაშორისო ვალუტურ კრიზისს საერთაშორისო ხასიათი აქვს — შეეხო დასავლეთის ყველა სახელმწიფოს. ხოლო თუ იგი ამავე დროს გახდა საფრანგეთის ეროვნული კრიზისიც, ეს იმით აიხსნება, რომ „მაისის შემდეგ ფრანკი დასუსტებული ვალუტა აღმოჩნდა, წონასწორობა ფინანსურ-ეკონომიურ დარგში ჯერ კიდევ სრულიად არ იყო აღდგენილი, და ძალიან ბევრმა თანამემამულემ გამოიჩინა საფრანგეთისადმი უნდობლობა და ყველაფერზე მაღლა დააყენა თავისი მისწრაფება გამდიდრებისადმი, თუნდაც ამით ზიანი მიეყენებინა ერისათვის".

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა მოაგონა დამსწრეთ „ათთა ჯგუფის" ბონის თათბირი.

„თათბირი, — თქვა კუვ დე მიურვილმა, — მიმდინარეობდა მტკიცე დღის წესრიგის გარეშე, მაგრამ სავსებით ნათელი იყო, რომ ყველაფერს სჭარბობდა ამ ფაქტის შეგნება, რომ საერთაშორისო ვალუტური სისტემა უაღრესად მანკიერია, რასაც მოწმობს თუნდაც ის, რომ შესაძლებელი ხდება და ხშირად მეორდება დაუჯერებელი სპეკულაციური ოპერაციები, განა ნორმალური, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ერთ მშვენიერ დღეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეუძლია მილიონ მილიარდი დოლარი, ხოლო მეორე დღეს, როგორც ეს გუშინ იყო, დაკარგოს 400 მილიონი?"

ჩამოთვალა რა მიზეზები, რომლებმაც საშუალება მისცეს სახელმწიფოს არ დაეშვა ფრანკის დევალვაცია, პრემიერ-მინისტრმა დაასახელა ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებას მთავრობა ეპირებს, რათა თავიდან აიცილოს მომავალში ახლანდელის მსგავსი კრიზისების შესაძლო განმეორება.

„მთავრობის მოქმედების პროგრამა, — თქვა კუვ დე მიურვილმა, — გამოიხატება სამი მარტივი ფორმულით: უზრუნველყოფა ფიზიკურ ფულის ძველ ტალონებზე დაცვა, აღადგინოთ წონასწორობა და განვავრცოთ ეკონომიკის განვითარება". ამასთან დაკავშირებით მინისტრთა საბჭომ მოამზადა და ეროვნული კრების დეპუტატების განსახილველად წარმოადგინა კანონპროექტი კომპანიების დაბეგვრის სისტემის შეცვლის შესახებ. ამავე დროს, აღნიშნა მან, განზრახულია სხვა გადასახადების გადიდება.

კუვ დე მიურვილმა განაცხადა, რომ მთავრობამ შესაძლოდ ცნო 11 მილიარდიდან 6.354 მილიონ ფრანკამდე შემცირების საბიუჯეტო ბიუროკრატიის დეფიციტი მორიგ საფინანსო წელს. მან აღნიშნა, რომ მომავლინების მიზნით მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ალარ მოახდინოს ატომური გამოცდები მომავალ წელს წყნარ ოკეანეში და შემციროს ბიბეგრილთა სამგზავრო თვითმფრინავების „კონკორდის" მშენებლობასთან დაკავშირებული ასიგნებანი. კუვ დე მიურვილი ამტკიცებდა, რომ „არ არის არავითარი საფუძველი ეიფეფროთ, რომ მთავრობის მიერ დასახულ ახალ ღონისძიებებს მოჰყვება მშრომელთა მეფიციერობა ან უნარის რამდენადმე მნიშვნელოვანი შემცირებაო".

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „საფრანგეთს ალაჯ დაუდგა დიდი ეროვნული განსაცდელი", და მოიწოდა, მოსახლეობის ყველა ფენას ითანამშრომლონ. „ამ შემთხვევაში, — დასძინა კუვ დე მიურვილმა, — საფრანგეთი მოიგებს ფრანკისათვის ომსაც".

◆

საიგონელ გენერლებს მფვიდობა არ სურთ

სტოკჰოლმი, 26 ნოემბერი. (საკვანძო). საიგონელ გენერლებსა და პოლკოვნიკებს აშინებთ მშვიდობის დამყარება ვიეტნამში, რადგან მათთვის ეს ნიშნავს კეთილი ცხოვრების დასასრულის მოახლოებას — ასეთი დასკვნა გამოაქვს შვეიციის გაზეთ „დაგენს ნიუჰეტერის" საიგონელ კორესპონდენტს

სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქიდან გამოგზავნილ რეპორტაჟში.

კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზავის დადება საიგონელი გენერლებისათვის ნიშნავს „ტკბილი ცხოვრების დასასრულს".

შვედი ჟურნალისტი ხატავს საშინელი კორუფციისა და საიგონის ხროვის გამყიდველობის მკაფიო სურათს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ მარიონეტთა წრეში თქვლთ ყველაფრის ყიდვა შეიძლება: ყიდულობენ ოფიცრის წოდებებს, დაწინაურებას, პროვინციათა უფროსების პოსტებს. როცა თანამდებობას იყიდიან, შემდეგ თვალყურს აღევნებენ, რომ იგი სარფიანი იყოს — თავიანთ პროვინციაში ყიდიან საოლქო უფროსების პოსტებს, ითვისებენ ადასახადებს.

სტატიაში ნათქვამია, რომ ნაძარცვ და მითვისებულ ფულს საიგონელი გენერლები უცხოეთის ბანკებში ინახავენ. ეს გენერლები, რომლებიც ომმა გაამდიდრა, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ომი გაგრძელდეს და გაჭიანურდეს საზღვრ მოლაპარაკება.

ინგლისი. ლონდონში გაიმართა მძლავრი საპროტესტო დემონსტრაცია დიდი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობაში არსებული შრომის პირობების წინააღმდეგ. მასში მონაწილეობდა რამდენიმე ათასი კაცი, რომლებიც სპეციალური ავტობუსებით ინგლისისა და უელსის ყველაზე შორეული ადგილებიდან ჩამოვიდნენ. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ფოტო გაზეთ „მორნინგ სტარიდან"

ოკუპანტთა მხეცობა

ამანი, 26 ნოემბერი. (საკვანძო). **სამი არაბი ბავშვი დახოცა ისრაელიმენ ისრაელმა პატრულმა „მხლოდ იმისათვის, რომ ჟურნალი თავადაზიდნენ კომენდანტის საათის შემდეგ.**

გაზეთი „ად-დიფაა", რომელიც ამ მხეცური ფაქტის შესახებ იუწყება, წერს, რომ ისრაელიმის არაბული ნაწილის ერთ-ერთ რაიონში ისრაელმა ჯარისკაცებმა ღამით სახლებიდან გამორეკეს მცხოვრებლები და დილამდე ქუჩაში ავტომატებით თავს აჯდნენ.

ლაოსის პატრიოტული ფრონტის ყრილობა

ჰანოი, 26 ნოემბერი. (საკვანძო). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმიოშმებს კაოსან პატმტ-ლაოს სააგენტოს და იუწყება, რომ სამნის პროვინციის განთავისუფლებულ ზონაში გაიმართა ლაოსის პატრიოტული ფრონტის ნეო ლაო ხაკ სატის მესამე მრავნული ყრილობა.

ყრილობამ დაამტკიცა ფრონტის ახალი პოლიტიკური პროგრამა, რომელშიც გაანალიზებულია ლაოსის თანამედროვე საშინაო მდგომარეობა და დასახულია ნეო ლაო ხაკ სატის ახალი პოლიტიკური ამოცანები.

საშინაო პოლიტიკის დარგში პროგრამაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საჭიროა ეროვნული ერთიანი ფრონტის ბრძოლისუნარიანობისა და ერთობის განმტკიცება, ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრა, ხალხის დემოკრატიულ თავისუფლებათა უზრუნველყოფა, ეროვნული დამოუკიდებელი ეკონომიკის, კულტურისა და განათლების შექმნა და განვითარება და სხვ.

საგარეო პოლიტიკის დარგში პროგრამით გამოცხადებულია მშვიდობის, დამოუკიდებლობის, ნეიტრალიტეტის, ყველა იმ ქვეყნის ხალხებთან და მთავრობებთან სოლიდარობისა და მეგობრობის პრინციპები, რომელთათვის ძვირფასია მშვიდობა და სამართლიანობა.

ლაოსის პატრიოტულმა ფრონტმა მთელი მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ლაოსელი ხალხის სამართლიან ბრძოლას და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი, რათა აღკვეთონ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა ჩარევა და აგრესია ლაოსში, მისცენ ლაოსელ ხალხს შესაძლებლობა თვითონვე გადაჭრას თავისი ქვეყნის საშინაო საქმეები.

ფაქტები

● სან-ხოსე, 27 ნოემბერი. (საკვანძო). 500 ოჯახმა კოსტა-რიკის დესპანარადოსის რაიონში დაიკავა მიწები, რომლებიც კერძო პირებს ეკუთვნით.

მიწების მასობრივად ხელში ჩაგდება ღარიბების მიერ, რომლებიც ქოხმახებს აგებენ ამ მიწებზე, — უკიდურესი ღონისძიებაა კოსტარიკის ამ რაიონის სასოწარკვეთილებამდე მისული მცხოვრებლებისა. როგორც ერთმა გადმოსახლებულმა საკვანძოს კორესპონდენტს განუცხადა, ხელფასი, რომელსაც იღებენ, საშუალებას არ აძლევს მათ დაიქირაონ რაიმე საცხოვრებელი.

● რიო-დე-ჟანეირო, 27 ნოემბერი. (საკვანძო). რიო-დე-ჟანეიროს ყოველი ოთხი ქალიშვილი და ბიჭუთაგან მხოლოდ ერთი შეძლებს შევიდეს მომავალ წელს სასწავლებლად გიმნაზიაში — არასრულ საშუალო სკოლაში. 16 ათას ადგილზე, იუწყება პრესა, უკვე ჩაეწერა 60 ათასზე მეტი კანდიდატი.

ოთხმოცდაორიანი ქალაქის ყველა 70 გიმნაზიაში დაიწყება მისაღები გამოცდები. განათლების ასიგნებათა და სკოლების ნაკლებობის გამო ათიათასობით ახალგაზრდა ბრაზილიელი სასწავლებლების გარეთ დარჩება. ასეთივე მდგომარეობაა, აღნიშნავენ გაზეთები, ბრაზილიის სხვა ქალაქებში.

რომი, 27 ნოემბერი. (საკვანძო). ვაიონტის წყალსაცავის კაშხალის ტრაგიკული ჩამონგრევებიდან ხუთი წლის შემდეგ, რომლის შედეგად დაიღუპა 2.000 კაცი და მოისპო ოთხი დასახლებული პუნქტი, ბუნინ ქალაქ პაუილაში დაიწყო კატასტროფის დამნაშავეთა გასამართლება. გრალდებულთა შორის არიან პროექტის ავტორები და სხვა ტექნიკური სპეციალისტები.

პარაგული კონფრასფები

იქ, სადაც ადამი და ევა „ცხოვრობდნენ"

◆

კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, საბჭოთა ხალხისა და სირიელი ხალხის მეგობრობის საღამოდ გადაიქცა. სირიიდან ლიბანში ამერიკული „შეგროლეტებით" გაგზავნეს. სასტუმროში ერთმანეთის მიყოლებით გამწკრივებულია ექვსი სასტუმრო. როგორც კი გაიგებდნენ მესაზღვრეები, რომ საბჭოთა ქვეყნიდან ვიყავით, ღიმილით გვილოცავდნენ გზას და ყოველგვარი სავალდებულო ჩხრეკის გარეშე გვიშვებდნენ.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ეს ოთხი სასტუმროდან ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. დამასკო და ბაღდადი უფრო აღმოსავლური ტიპის ქალაქებია. ისინი დაახლოებით უახლოესდებიან იმ წარმოდგენას, რომელიც ჩვენ გვაქვს აღმოსავლეთზე. ერთ რამედ მარტო დამასკოს უძველესი და სახელგანთქმული ბაზრის „სუკ-ჰამიდიეს" დათვალიერება ღირს. რას არ შეხვდებით აქ, ფინიკებიდან და ალმოსავლური შაქარყინულიდან დაწყებული და „ჯეზრალ მოტორსის", „სონის" თუ „ფილიპსის" ნაწარმით გამთავრებული. აქვეა მეჩეთები. ბაზარში შემოკავეთ ვირები, მოტოციკლები, უკანასკნელი მარკის ამერიკული მანქანები. ისმის გამყიდველთა ღრიალი, რომელიც ავონიას მოგაგონებთ. აქ ოქროულისათვის უდიდესი გვარტალია გამოყოფილი, სადაც ოქროს, პლატინას, ბრილიანტებს, მარგალიტებს და სხვა უძვირფასეს თვლებს რაღაც ზღაპრულ სფეროში გადავყავართ. აქეე კიდევ ჩადრიანი ქალები და მოდურად ჩაცმული არაბი ქალიშვილები. თუმცა დამასკოს პოლიცია ფეხიზლად იცავს კაბის დამოკლების ნორმებს. საკმარისია კაბა მუხლს ზემოთ ეცვას ქალს, რომ მას კუპრით შეულებავენ ფეხებს.

ლაღამოობით არაბული ქალაქების ქუჩებში მრავალი ხალხია. ყოველ ნაბიჯზე ნახავთ ნარდის სათამაშო მაღებსა და „ნარგილეს" მოსაწევ კაფეებს, სადაც თვალში მოგხვდებათ „ნარგილეთი" გაბრუებული და გამოთაყვანებული სხეები.

როგორც კი დამასკოს ულტრათანამედროვე არქიტექტურით ნაგებ ვილებს გასცდები, ერთბაშად უდაბნო იწყება. აქ ძველებურად შეხვდები აქლემების ქარავნებს, ბედუინებს, მათს სახედასვირანგებულ ქალებს. ნახავთ სოფლებს, სადაც არ არის წყალი და არათუ ხე, ბალახის ნასახიც კი არ არის. აქ წყალი რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული ოაზისიდან მოაქვთ ცისტერნიანი მანქანებით.

ქალაქ ბასრაში, იქ, სადაც ერთმანეთს ტიგროსი და ევფრატი ერთვიან, პალმების თვალუწვდენელ ტყეებს ადამიანი ტროპიკულ სამყაროში გადაჰყავს.

ამ სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც კუვეიტი იპყრობს. კუვეიტი ძალიან პატარა სახელმწიფოა სპარსეთის უბეში. მოსახლეობა ნახევარ მილიონსაც კი არ აღწევს. მოსახლეობის უმრავლესობა დედაქალაქ ელ-კუვეიტში ცხოვრობს. ეს არის სახელმწიფო, სადაც ერთ ნაკადულსაც კი ვერსად წააწყდებით (საერთოდ წყალი არაბეთის № 1 პრობლემაა). აქ იაპონელებმა ააშენეს ზღვის წყლის გადამამუშავებელი ქარხნები, რომლებიც დღე-ღამეში 14 მილიონ გალონ წყალს აწვდიან მოსახლეობას.

კუვეიტში ამჟამად ნამდვილი ეკონომიური ბუმია. ჩვიდმეტიოდე წლის წინ აქ ერთბაშად ამოხეთქა ნავთობმა, რამაც ქვეყანას არნახული სიმდიდრე მოუტანა. კუვეიტელები ცხოვრების ხარისი ალსა ალხაო უკვე პირველნი არიან მსოფლიოში. თუმცა ქონება თანაბრად რიდი ნაწილდება ამ ქვეყნის ვითომდა თანასწორუფლებიან მოქალაქეთა შორის. აქ ერთადერთი ნავთობგადამამუშავებელი კომპანია ეკუთვნის სახელმწიფოს. ყველაფერი დანარჩენი შეიხების საკუთრებაა. კუვეიტში ორასამდე შეიხია, რომელთა წლიური წმინდა მოგება რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს შეადგენს.

ელ-კუვეიტი მსოფლიოში ერთადერთი ქალაქია, სადაც არ არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი... ტაქსებს გარდა. ასევე ვერ ნახავთ აქ მოძველებულ მანქანას. კუვეიტელი შეიხები სპეციალურ შეკვეთებს გზავნიან ამერიკაში და ათმაგ ფასს იხდიან მანქანაში. ძალიან უყვართ, როცა მანქანის სიგრძე ხუთ მეტრს აღემატება. ელ-კუვეიტის მაღაზიებზე წააწყდებით ასეთ წარწერებსაც: „შემოდით ჩვენს მაღაზიაში, აქ მსოფლიოში ყველაზე ძვირი ღირს საქონელი", ცხადია, ეს მაღაზიები რიგითი კუვეიტელებისათვის არ არის განკუთვნილი.

კუვეიტელი მილიარდერები ცნობილნი არიან კიდევ იმით, რომ ბეირუთის კაზინოში ყველაზე მეტ ფულს ფლანგავენ. ყოფილა შემთხვევები, როცა რომელიმე კუვეიტელ შეიხს ერთ ხელზე რამდენიმე მილიონი დოლარი წაუგია. კუვეიტის ემირის ძმამ პარიზელი ქალი შეირთო. ქალმა კუვეიტის სიცხეს ვერ გაუძლო და ცოლ-ქმარი ბეირუთში გადასახლდა. ქალმა იქაც მოიწყინა, პარიზი და ეიფელის კოშკი მომენატრა. შეიხს ხმა არ ამოუღია. ერთ მშვენიერ დილას კი ცოლმა შენიშნა, რომ მისი სასახლის მახლობლად ეიფელის კოშკის ზუსტი ასლის მშენებლობა დაიწყეს. ასე აღიმართა ეიფელის კოშკი ბეირუთში, თუმცა შემდეგ იგი დაუშლიათ, რადგან ბეირუთი მთის კალთებზე გაშენებული ქალაქია და კოშკი ხელს უშლიდა თვითმფრინავების მოძრაობას. ახლა კუვეიტში და ლიბანში მდიდრული ვილების თავზე ხშირად ნახავთ ეიფელის მიკროკოშკებს, რომლებიც ტელევიზორის ანტენების მოგალეობას ასრულებენ.



კიდევ ერთი რამ, რაც თვალში გეცემათ კუვეიტში, არის ის, რომ ქვეყნის კულტურა დიდად ჩამორჩენია ცივილიზაციის ტემპებს. კუვეიტელებმა სასწრაფოდ ააშენეს უნივერსიტეტი. მიიწვიეს საუკეთესო სპეციალისტები, ათასობით კუვეიტელი ახალგაზრდა გაგზავნეს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში. მაგრამ არც ამას მოუტანია მათთვის სასურველი შედეგი. ისინი ჩამოდიან სულ სხვა კულტურით აღზრდილები და ვერავითარი წვლილი ვერ შეაქვთ ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეში.

დამასკოდან ბეირუთამდე სულ 120 კილომეტრია. ერთი დიდი მთაგრეხილია გადასასვლელი და ამ პატარა მანძილის გავლის შემდეგ თითქოს სულ სხვა სამყაროში ხვდები. ბეირუთი მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. იგი ერთდროულად პარიზსაც ჰგავს და ნეაპოლსაც. ამიტომაც ეძახიან მას „აღმოსავლეთის პარიზს". პატარა ნახევარკუნძულზე, რომელიც ზღვაშია შეჭრილი, გაშენებულია ქალაქის ცენტრალური ნაწილი. შემდეგ იწყება მთა, სადაც შეფენილია დანარჩენი ქალაქი და ულამაზესი კურორტები. მთის მწვერვალებს ამშვენებს ქრისტიანული ეკლესიებისა და თანამედროვე არქიტექტურით ნაგები ფეშენებელური ვილების კონტურები. ლიბანში არაბების 50 პროცენტი ქრისტიანია. აქვე ცხოვრობენ ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები. ქალაქი ძირითადად ფრანგების აშენებულია. თუმცა ახლა იქ ინგლისელებთან ერთად ამერიკელები უფრო არიან ჯაბატონებულნი.

ბეირუთის კაზინო მსოფლიოში უდიდესი და ულამაზესია. იგი სულ ოთხი წელიწადია, რაც აშენდა, და უკვე უკან მოიტოვა მონტეკარლოს სახელგანთქმული კაზინო. აქ საღამოს 9 საათიდან ღამის 2 საათამდე საშუალოდ 5 მილიონი დოლარი თამაშდება. ბეირუთი მთელი მსოფლიოს მილიონერების საუკეთესო დროისსატარბელი ადგილია. მის ქუჩებში ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით ოფიციალურად ნებადართულ საბჭვო დაწესებულებებს, რაც ყოველად წარმოუდგენელია არაბეთის დანარჩენ ქვეყნებში, და ნარკოტიკებით მოვაჭრეებს. ისინი პირდაპირ ქუჩაში გთავაზობენ თრიაქს. იქვე, კაზინოს მახლობლად, არის ერთი სახელგანთქმული კლუბი, სადაც თავს იკლავენ კაზინოში გაკოტრებული ან თრიაქით დაუძლურებული ადამიანები.

ისრაელის აგრესიის შემდეგ არაბებმა თვალნათლივ დაინახეს, თუ ვინ არის მათი ნამდვილი მტერი და მოყვარე. სირიიდან და ერაყიდან უკვე განდევნეს ეგრეთწოდებული ამერიკული ინსტიტუტები და ბეგრ-ის კულტურული ცენტრები. ლიბანში კი ამერიკელებს მაკრად აქვთ ფეხი მოკიდებული, რადგან თითქმის ყველაფერი მათ ხელშია. ბეირუთში ამერიკელებს აქვთ საკუთარი ტელეკომპანია, რომელიც ორი პროგრამით აწყობს გადაცემებს. თვით ლიბანის ორი საკუთარი სატელევიზიო პროგრამიდანაც, კი ერთი მოლიანად ამერიკულ გადაცემებს უჭირავს.

მთავრობას არ უნდა ამერიკელებს აწყენინოს, მაგრამ ხალხისაც ეშინია. ბეირუთში ჩვენს ჩასვლამდე ზუსტად ორი დღით ადრე „ასეთი ინციდენტი მომხდარიყო: ამერიკელებმა ჩამოიტანეს ვიეტნამის ომისადმი მიძღვნილი კინოფილმი, სადაც ისინი ამართლებდნენ თავიანთ ბინძურ ომს. ბეირუთის მოსახლეობამ და განსაკუთრებით სტუდენტობამ მოაწყო საპროტესტო დემონსტრაციები და მოითხოვეს ფილმის აკრძალვა. მთავრობამ ვეღარც ამერიკელებს აწყენინა და ფილმი ჩუმად ბეირუთის ორ კინოდარბაზში უჩვენეს. სტუდენტები კინოდარბაზში პირველსავე სეანსზე შეიჭრნენ და კინოფარანები ჩამოხიეს. მთავრობა იძულებული გახდა ფილმი უკანვე, ამერიკაში გაეგზავნა.

ლიბანში, ისევე, როგორც ყველგან, საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს დიდი სიყვარულითა და ცნობისმოყვარეობით ხვდებოდნენ. არაფერია იმაზე უფრო სასიამოვნო, როდესაც უცხოეთში გრძნობ, თუ როგორ აფასებენ შენს ქვეყანას, შენი მთავრობის სამშვიდობო, ყველაზე ჰუმანურ პოლიტიკას, რომელიც ადამიანებს საბჭოთა ქვეყნის შვილებისადმი ასეთი სიმპათიით გაანყობს.

ბ. ფანჯიკიძე.

• • •

სურათზე: კუვეიტის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა.

ქართული სცენის რაინდი

უშანგი ჩხეიძის დაბადების 70 წლისთავი

უშანგი ჩხეიძის აქტიორული ბიოგრაფია არ განისაზღვრება დროის დიდი მონაკვეთით, არც განსხვავებული როლების კოლოსალური რაოდენობით. სამაგიეროდ მისი არტისტული ოსტატობის ხარისხი მეტად მაღალი და თითქმის განუმეორებელია, რამაც მისდამი ხალხის გულწრფელი სიყვარული განუსაზღვრელი გახადა.

22 წლის ჭაბუკი იყო უშანგი ჩხეიძე, როცა ქართულ პროფესიულ თეატრში დაიწყო მუშაობა; 26 წლის ასაკში იგი ავიდა აქტიორული ხელოვნების მწვერვალზე, რომლიდანაც შემდეგ აღარ ჩამოსულა; 36 წლისამ სამუდამოდ დატოვა სცენა და თითქმის 20 წლის განმავლობაში, 55 წლის ასაკამდე, დაჩრილი ირემივით ბორგავდა. 15 წელია, რაც სამუდამოდ წავიდა ჩვენგან, ხოლო 35 წელია, რაც სულში ჩამწვდომი მისი ხავერდოვანი ხმა აღარ ჟღერს ქართულ სცენაზე. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უშანგი ჩხეიძის სახელი უფრო იზრდება, იხვეწება და შარავანდედით იმოსება. და ამ ზრდის მიზეზია არა მარტო მისი შემოქმედების დიდი დიაპაზონი, არა მარტო მისი აქტიორული ოსტატობის უბადლობა და მის მიერ განსახიერებული როლების სიდიადე, არამედ ყოველივე ამას ემატება მოქალაქეობრივი სიწმინდე, ზნეობრივი სისპეტაკე, იდეალური ადამიანის სამაგალითო თვისებები, რომლებითაც სავსე იყო უშანგის პიროვნება. ყველაფერი ეს ერთიორად ამაღლებდა, შუქს მატებდა, ხალხის უსაზღვრო სიყვარულის ღირსად სღიდა მის შემოქმედებას.

უშანგი ჩხეიძე იყო უზადო, უანგარო და უმართლესი ადამიანი როგორც თავისი შემოქმედებით, ისე პირადი ცხოვრებითაც. იგი იყო გამართლება დიდი სტანისლავსკის დიდებული სიტყვებისა: „გიყვარდეს ხელოვნება შენს ვინაობაში და არა შენი ვინაობა ხელოვნებაში“, რომელსაც მისი საყვარელი მასწავლებელი კოტე მარჯანიშვილიც ხშირად იმეორებდა. უშანგი ჩხეიძეში მართლაც ცხოვრობდა ხელოვნება, მისთვის თეატრი იყო ყველაფერი, სიცოცხლეც, ცხოვრების მიზანიც, კაცობის სიხარულიც და ამქვეყნად არსებობის გამართლებაც. მისი მეგობრები ამბობენ, რომ თეატრში იგი იყო აქტიორული სინდისის ხაზომი, სცენის სიყვარულის უმაღლესი ნიმუში. როგორც ვთქვით, უშანგისათვის თეატრი იყო ნამდვილი სიცოცხლე და როცა მისთვის აქტიორული ხელოვნება გათავდა, მაშინ მისი სიცოცხლეც გათავდა. იგი დაიწვა დიდი ხელოვნების კოცონზე, რათა გზა გაენათებინა სხვებისთვის.

უშანგი ჩხეიძე იყო ისეთი აქტიორი, რომელსაც როლი არასოდეს წახდენია, მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა როლი, იგი უსიტყვო როლსაც კი სრულყოფილად და შეუდარებლად განასახიერებდა. არ ყოფილა შემთხვევა, უშანგის მიერ ნათამაშევ თუნდაც მცირე როლს აღტაცება არ გამოეწვიოს და პრესა არ გამოხმაურებოდეს. მის მიერ განსახიერებულ დიდ როლებზე (ჰამლეტი, გოდუნი, თორღვა, ტომასი, ურიელი, ყვარყვარე, ბელარი, ჩენჩი და სხვ.) კი მრავალი წერილი და რეცენზია დაიწერა და დაიბეჭდა ქართულ და რუსულ პრესაში. უშანგი ჩხეიძის სახელი ადრიდანვე შეიჭრა ქართულ პოეზიაში და მასზე, ჯერ კიდევ თეატრში მუშაობის პერიოდში, შესანიშნავი ლექსები შექმნეს გამოჩენილმა ქართველმა პოეტებმა ი. გრიშაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ვ. გაფრინდაშვილმა, კ. კალაძემ და სხვებმა, მაგრამ მის შემოქმედებაზე საფუძველიანი ნაშრომი მის სიცოცხლეში არ შექმნილა... ახლა კი უშანგის შემოქმედების შესახებ მთელი ლიტერატურა არსებობს. მწერლებმა და თეატრალებმა დაწერეს ახალი წერილები, პორტრეტები, მოგონებები, მოთხრობები და ლექსები, გამოჩენილმა მხატვრებმა და მოქანდაკეებმა დახატეს მრავალი ფერწერული ტილო, შექმნეს წესანიშნავი ქანდაკებები და, საერთოდ, უშანგი იქცა სულოვნების ყველა დარგის უკვდავ თემად. ეს კი იშვიათი მოვლენაა არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ თეატრის ისტორიაში.

გარდაცვალების შემდეგ ასეთი გახმაურება და ისიც მსახიობის შემოქმედებისა, რომელიც თავისი სპეციფიკურობის გამო თითქმის მაშინვე ქრება, როგორც კი ფარდა იხურება, ხოლო ხავსებით უცნობია ახალი თაობებისათვის, რომელთაც არასოდეს არ უხილავთ იგი, ნამდვილად უჩვეულო მოვლენაა, და ამის მიზეზია სწორედ ის უანგარობა, გულწრფელობა, პირად ცხოვრებაში შეჭრილი ბოლოდნება, თეატრისათვის დაუზოგავი შემოქმედებითი ენერგია და, რაც მთავარია, დიდი ილიის სიტყვებით რომ ვთქვათ, ღვთივ მიცემული მადლი ნიჭისა, რომელიც ასე უხვად მოეპოვებოდა ამ შეუდარებელ კაცს.

გამოჩენილი ფრანგი მსახიობი და რეჟისორი ჟან ვილარი ამას წინათ საქართველოში სტუმრობის დროს წერდა ერთ თავის სტატიაში: „ჭეშმარიტი მსახიობი ის არის, რომელიც თავის სულიერ და ფიზიკურ საუნჯეს უმურველად სთავაზობს მაყურებელს, დამდგმელსა და ავტორს“. ასე გვეგონება, ეს სიტყვები ფრანგმა რეჟისორმა თითქოს უშანგის შესახებ დაწერა.

საგულისხმო აზრები გამოუთქვამს უშანგის შემოქმედებაზე ჩვენი დროის უდიდეს პოეტს ალექსანდრ ტაბიძეს: „ლადო მესხიშვილის შემდეგ ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა მსახიობებიდან ყველაზე ნიჭიერი და მძლავრი იყო უშანგი ჩხეიძე. მას მიერ განსხვავებულმა ურიელ აკოსტას როლმა პირდაპირ შემაძრწუნა, დიახ, შემაძრწუნა! სცენაზე გადაიწვა მისი განუმეორებელი ნიჭი. ავადმყოფობის დროსაც ვხვდებოდა ბას და ცრემლებს ვერ ვიკავებდი: რა ძალა, რა დიდი ტალანტი ღიღინებდა ქართულ სცენას! ჩემს შემოქმედებასა და ცხოვრებაში ბევრს საეროოს ენახულობდი ქართული თეატრალური კულტურის ამ ბუმბერაზებთან. მე ბევრჯერ მიფიქრია, რომ ასეთი ტრაგიკული ბედი დაჯყვნიბ ყოველ ეროუმარტ ხელოვანს“.

უშანგი ჩხეიძის გარდაცვალებამ თითქოს ხელმეორედ გადახსნა ის ჭრილობა, რაც თეატრიდან უშანგის წასვლისას გაჩნდა თეატრის მოყვარულთა გულში. მთელმა საზოგადოებრიობამ, მშრომელებმა, ინტელიგენციამ ღრმა გულისტკივილითა და მშობლიური სიყვარულით დაიტირეს თავისი დიდი შვილი, ქართული საბჭოთა ტალანტის მშვენება. ყვავილებითა და ცრემლებით მიაცილეს იგი მის უკანასკნელ სავანემდე — დიდუბის პანთეონამდე.

უშანგის მიმართ თავისუფლად შეიძლება განმეორდეს დიდი რუსი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის სიტყვები, რომლებიც გენიალური რუსი მსახიობის მოჩალოვის მიმართ გამოთქვა: „მისი ნიჭი წმინდა ოქროს ზოდია და მთელი მოსკოვის ტაში“. უშანგის ნიჭი მართლაც რომ წმინდა ოქროს ზოდი იყო და მთელი საქართველოს ტაში.

ანდრო თევზაძე.

ნინო დოლიძე

საბოლოოდ წლის ... ... მოტლოდნელად გარდაიცვალა ... ცნობილი ქართველი ... **ნინო ისიდორეს ასული ...**

ნინო დოლიძემ მეტად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა ქ. თბილისში 1906 წელს. 1922 წელს დამთავრა საშუალო სასწავლებელი და შემდეგ სწავლა განაგრძო სახელმწიფო დრამატულ სტუდიაში. სტუდიის დამთავრების შემდეგ მსახიობად მუშაობდა ჯერ ბათუმის, მახარაძისა და ფოთის თეატრებში, შემდეგ კი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, მონაწილეობას იღებდა კინოფილმებში („სურამის ციხე“ და სხვ.).

1931 წელს ნინო დოლიძე ბრიგადით საცხოვრებლად გადადის მოსკოვში. იქ იგი თანამშრომლობს „ჟურნალისტიკა“ და „ლიტერატურნაია გაზეტაში“. ამ რედაქციებში მუშაობის პერიოდში იგი ჩამოყალიბდა, როგორც მთარგმნელი და მწერალი. მან შეადგინა და რუსულ ენაზე შესანიშნავად თარგმნა ქართული ზღაპრების კრებული, რომელიც ამ სამი ათეული წლის წინათ გამოსცა მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობამ. შემდეგ ეს წიგნი ბევრჯერ გამოიცა მრავალათასიანი ტირაჟით, ამ კრებულმა მაშინვე მიიპყრო რუსი ფოლკლორისტების და ფართო საზოგადოების ყურადღება. აკადემიკოსი ი. სოკოლოვი აღფრთოვანებული სწერდა მის შემდგენელსა და მთარგმნელს ნინო დოლიძეს: „თქვენი კრებული, ერთი უკეთესთაგანია უკანასკნელ წლებში გამოცემულ თარგმნილ ფოლკლორულ ლიტერატურაში. თქვენ გმუშავიათ რუსული ენისადმი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით. ეს მახარებს და ზღაპრების მთარგმნელებს ვურჩევ მოგბაძონ თქვენ პასუხისმგებლობის გაგებასა და შეგრძნებაში“. და მართლაც, ვინც ნინო დოლიძეს იცნობდა, მან კარგად იცის, თუ რაოდენ შომთხოვნი იყო იგი თავისი თავისადმი.

ნინო დოლიძემ მოსკოვში ხუთ წელიწადს დაჰყო. თავისი უფროსი კოლეგებისაგან მან ბევრი რამ ისწავლა და ლიტერატურაში გზა თამამად გაიკაფა.

ნინო დოლიძე ომისწინა წლებში დაბრუნდა სამშობლოში და მალე ჩვენი მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც საყურადღებო მოთხრობების ავტორი. მისი პირველი მოთხრობა „მარტოხელა“ 1940 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა და მას შემდეგ მწერალს სიცოცხლის უკანასკნელ წლამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან. ჩვენს პერიოდულ პრესაში სისტემატიურად იბეჭდებოდა მისი მოთხრობები და ნოველები, რომლებიც შემდეგ ცალკე წიგნებად გამოვიდა.

ნინო დოლიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე რომანი „მთაში“, რომელიც 1952 წელს გამოვიდა. ამ რომანში მკაფიოდ გამომჟღავნდა ავტორის ბელეტრისტული ნიჭის თავისებურება. ამ რომანს თავის დროზე მშვენიერი წერილი მიუძღვნა „ლიტერატურნაია გაზეტამ“. რომანი გამოქვეყნებისთანავე მკითხველის საყვარელ წიგნად იქცა.

თავის ნაწარმოებებში ნინო დოლიძე უმღეროდა ჩვენს დღევანდელ დღეს და ბედნიერ მომავალს. უკანასკნელ ხანს მან დაწერა საინტერესო მოგონება — „ჩემი ძმა ვიქტორი“, რომელიც ეხება ნინოს უფროსი ძმის, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, ოპერა „ქეთო და კოტეს“ ავტორის ვიქტორ დოლიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ნინო დოლიძე იყო თავმდაბალი, გულისხმიერი, კეთილშობილი ადამიანი. იგი ყოველთვის ჩვენი მწერლური ოჯახის სიყვარულით იწვოდა და უამოჯახოდ ვერც წარმოედგინა სიცოცხლე. ქართველი მწერლები არასოდეს არ დავიწყებენ ამ შესანიშნავ უანგარო ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული ლიტერატურისა და კულტურის კეთილდღეობას შეალია.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

თბილისელებს მოეწონათ

15 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა პოლონური კოსმეტიკური ნაწარმის გამოფენა. ექსპოზიციას სახელწოდებით „პოლონელი ქალების მომზიბვლელობის საიდუმლო“ — ფირმა „პოლენის“ კოსმეტიკურ საშუალებებს უჩვენებდნენ თბილისში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში ორი კვირის მანძილზე. გამოფენამ მუშაობა დაამთავრა 27 ნოემბერს.

საყოფაცხოვრებო ქიმიის მრეწველობის გაერთიანება „პოლენის“ საწარმოები უჩვენებდნენ მრავალფეროვან პროდუქციას. გამოფენის დამთვალიერებელთა შთაბეჭდილებებს ყველაზე უკეთ მოწმობს შთაბეჭდილებათა წიგნი. თუ შევაჯამებთ ამ ჩანაწერებს, შეიძლება დავასკვნათ: პოლონური კოსმეტიკური ნაწარმი მოეწონათ თბილისელებს.

როგორც საქდესის კორესპონდენტს საგარეო სავაჭრო გაერთიანება „ციეზის“ წარმომადგენელმა ბოგუმილა ნეზგოდამ აცნობა, ფირმა „პოლენის“ საწარმოებს სურთ გამოფენაზე წარმოდგენილი ახალი კოსმეტიკური საშუალებანი გამოგზავნონ საბჭოთა კავშირში.

ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება პოლონური კოსმეტიკური ნაწარმის შესყიდვის შესახებ. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიის გამოფენა დაიხურა

27 ნოემბერს თბილისში დაიხურა ჩეხოსლოვაკიის საგარეო სავაჭრო გაერთიანებათა „მშენექსპორტისა“ და „პრაპოინვერტის“ მანქანებისა და მოწყობილობების გამოფენა სამშენებლო ინდუსტრიისა. და სოფლის მეურნეობისათვის. 10 დღის განმავლობაში გამოფენა 20 ათასამდე კაცმა დაათვალიერა.

„მშენექსპორტის“ წარმომადგენელმა ირჟი ოლიჩმა კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ მისი ქვეყნის მიღწევებმა მიიპყრო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა დიდი ყურადღება.

საბჭოთა კავშირის გაერთიანება „მანქანაიმპორტის“ სამთო კანტორის დირექტორმა ა. ნ. მარტინოვმა, რომელიც თბილისში იმყოფება, საქდესის კორესპონდენტს განუცხადა, მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდით ფასებსა და პირობებზე, რომ საბჭოთა გაზის მრეწველობისათვის ჩეხოსლოვაკია გამოგვიგზავნის სდ-150 ტიპის 15 ტონა ტვირთამწეობის დიზელ-ელექტრავლიკურ ამწეებსა და ად-100 ტიპის 10 ტონა ტვირთამწეობის საავტომობილო ამწეებს. გათვალისწინებულია სატვირთელების შესყიდვა სამშენებლო ინდუსტრიის საჭიროებისათვის.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საგარეო სავაჭრო ორგანიზაციების კონტაქტებს, აღნიშნა ამხ. მარტინოვმა, აქვს დიდი ხნის ტრადიციები და თანდათან ვითარდება. (საქდესი).

მს პატარები ქუთაისის განათლების განყოფილების № 27 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არიან. ბაღი ერთ-ერთი საუკეთესოა ქალაქში — ნორჩების განკარგულებაშია მრავალი სათამაშო, ბავშვები მშობლიური სითბოთი და მზრუნველობით არიან გარემოსილნი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

პირველი პოეტური...

„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურად

ზეიცე საუკუნის დასაწყისში ინგლისელები პირველად გაეცნენ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. ეს იყო პოემის პროზაული თარგმანი მარჯორი უორდროპისა (1912 წელი).

და აი ახლა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა პირველი პოეტური თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“, შესრულებული ვენერა ურუშაძის მიერ.



წიგნის რედაქტორები არიან ცნობილი ინგლისელი მთარგმნელი და პოეტი **კევინ კროსლი-კოლბნდი** და **ნ. ყიასაშვილი.**

„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ გამოცემას დართული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა და ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის **დევიდ ლანგის** შესავალი წერილი.

ინგლისელი მეცნიერი განიხილავს რენესანსის ეპოქის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას — „ვეფხისტყაოსანს“. ეხება რა ახალ თარგმანს, ლანგი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ეს არის მთარგმნელის გამარჯვება. სავსებით დარწმუნებული ვარ, — წერს იგი, რომ ვენერა ურუშაძის თარგმანი საყოველთაო აღიარებას მოიპოვებს. იგი ნამდვილად ამის ღირსია.

ინგლისელი მკითხველები კარგად იცნობენ ვენერა ურუშაძეს. ამ რამდენიმე წლის წინათ მისი თარგმანების მეოხებით ისინი გაეცნენ „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის ტირაჟია ხუთი ათასი. წიგნი გემოვნებით გაფორმა მხატვარმა ზურაბ კაპანაძემ.

...ბოლოს

ბოლოს ... ...